ოქმი N 16

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი **2018 წლის 26 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. კობა გოქაძე
3. აკაკი ხურცილავა
4. გია წულაია
5. გოჩა ჯობავა
6. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ვ. გაბედავას 2018 წლის 14 ნოემბრის №03/4601 წერილის განხილვა - ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ვ. გაბედავას 2018 წლის 14 ნოემბრის №03/4601 წერილის განხილვა - ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია ის აუცილებელი ვალდებულებები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო დაწესებულებაში დასანიშნი პირი, ანუ ვინ არ შეიძლება მიღებულ იქნეს საჯარო სამსახურში. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების 21-ე მუხლით

კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირის სამსახურში მიღებისას აუცილებელია სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც ასევე განსაზღვრულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 196[3] მუხლით და „საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირთა მიერ სამუშაოდ ან სასწავლებლად იმ სამხედროვალდებულთა მიღება, რომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე არ არიან აყვანილნი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ ჯარიმდება კანონით დადგენილ ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N37 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N30 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი იყო ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისია. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად ჩათვალა ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის გაუქმება, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიციირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „ცოტნე დადიანის სახელობის ჯილდოს მფლობელის გამოსავლენი და სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“, ინიციირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია